

შპს „კონტროლი“
204891322

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კონტროლის“ პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კონტროლის“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 01 ივნისს და ამდენად, ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგების და მოძრავი ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას. ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურებით 2022 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების და მოძრავი ძირითადი საშუალებების რაოდენობაში და სისწორეში დარწმუნება, რომელიც ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 134,070 ლარის (მარაგები) და 502,246 ლარის (მოძრავი ძირითადი საშუალებები) ოდენობით, (2021 წელის მდგომარეობით: მარაგები 81,283 ლარი, მოძრავი ძირითადი საშუალებები 516,133 ლარი). ინვენტარისა და აღჭურვილობის ნაწილში სააღრიცხვო პოლიტიკით სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია 5-30 წლით. იმის გამო, რომ კონკრეტული ინვენტარზე და აღჭურვილობაზე სასარგებლო გამოყენების ვადა არ იყო მითითებული, ვერ განვსაზღვრეთ მათზე დარიცხული ცვეთის სისწორე, რომლის აკუმულირებულმა ოდენობამაც 2022 წლის 31 დეკემბრისათვის ამ ნაწილში შეადგინა 3,227,929 ლარი. შესაბამისად, აღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მოძრავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობებზე და მოძრავ ძირითად საშუალებებზე 2022 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

სააღრიცხვო პოლიტიკით არაა გაწერილი საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნის და მოძრაობის პრინციპები, საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის ჯგუფს არ შეუფასებია დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული ზარალის რეზერვი, ფასს 9 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ ვერ ვადასტურებთ ამ სახით აღრიცხული 734,134 ლარის სისწორეს, რომელიც დარიცხულია 2021 წელს და უცვლელია 2022 წლის განმავლობაში.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თვითღირებულება და ადმინისტრაციული ხარჯები არაა გამიჯნული ერთმანეთისაგან, რაც იწვევს მოგება ზარალის ცალკეული მუხლების არასწორ კლასიფიკაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის

„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული

აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოსცა არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე 2022 წლის 17 ნოემბერს.

ჯგუფის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვუვალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე იმ შიდა კონტროლზე, რასაც ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდ ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენი მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემული ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარისი საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტორული გარიგების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი.

ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი (SARAS-A-285542)

შპს ბიზნეს ინსაით გრუპ (400308305)

31 ოქტომბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო



აუდიტორული გარიგების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა, არის ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი.

ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილი (SARAS-A-285542)

შპს ბიზნეს ინსაით გრუპ (400308305)

31 ოქტომბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო



BUSINESS
INSIGHT
GROUP

BIG

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს კონტროლის და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 31 ოქტომბერს

დირექტორი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს კონტროლის და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 31 ოქტომბრის

დირექტორი



სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
პერიოდის დასასრულისათვის	1
პერიოდის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება - კონსოლიდირებული	3
პერიოდის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	5
მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
3. ახალი და შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	14
4. ადრე გაცხადებული ფინანსური ინფორმაციის რეტროსპექტულად გადაანგარიშება	16
5. ძირითადი საშუალებები	18
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	19
7. სასაქონლო მატერიალური მარაგები	19
8. წინასწარ გადახდილი ხარჯები	19
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
10. კაპიტალი	20
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
12. სხვა დარიცხული ვალდებულებები	20
13. ამონაგები	20
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
15. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	21
16. ფინანსური რისკების მართვა	22
17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	24

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
პერიოდის დასასრულისათვის

აქტივები	შენ.	31-დეკ-2022	31-დეკ-2021 გადაანგარიშებული (შენ. N4)	01-იან-2021 გადაანგარიშებული (შენ. N4)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	22,944,750	23,255,913	23,866,657
არამატერიალური აქტივები		4,566	6,111	12,385
ბიოლოგიური აქტივები		7,643	3,343	3,343
სულ გრძელვადიანი აქტივები		22,956,959	23,265,366	23,882,385
მოკლევადიანი აქტივები				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	844,341	871,676	1,257,981
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	134,070	81,283	86,702
წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	812,901	812,515	416,253
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	487,929	771,361	761,331
სხვა მოთხოვნები		10,350	5,899	
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,289,591	2,542,734	2,522,267
მთლიანი აქტივები		25,246,550	25,808,101	26,404,652
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,197,625	1,618,825	1,834,825
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5	6,905,356	6,905,356	6,904,784
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	10	6,887,875	7,241,163	7,550,481
არამაკონტროლებელი წილი		9,387,818	9,562,767	9,549,740
სულ კაპიტალი		24,378,673	25,328,111	25,839,830
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	506,400	457,900	446,383
სხვა დარიცხული ვალდებულებები	12	361,148	21,762	2,333
მოკლევადიანი სესხები		-	-	100,000
საპროცენტო ვალდებულებები		329	329	16,106
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		867,877	479,991	564,822
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		25,246,551	25,808,101	26,404,652

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი


კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
პერიოდის დასასრულისათვის

აქტივები	შენ.	31-დეკ-2022	31-დეკ-2021 გადაანგარიშებული (შენ. N4)	01-იან-2021 გადაანგარიშებული (შენ. N4)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	22,944,750	23,255,913	23,866,657
არამატერიალური აქტივები		4,566	6,111	12,385
ბიოლოგიური აქტივები		7,643	3,343	3,343
სულ გრძელვადიანი აქტივები		22,956,959	23,265,366	23,882,385
მოკლევადიანი აქტივები				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	844,341	871,676	1,257,981
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	134,070	81,283	86,702
წინასწარ გადახდილი ხარჯები	8	812,901	812,515	416,253
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	487,929	771,361	761,331
სხვა მოთხოვნები		10,350	5,899	
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,289,591	2,542,734	2,522,267
მთლიანი აქტივები		25,246,550	25,808,101	26,404,652
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	1,197,625	1,618,825	1,834,825
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5	6,905,356	6,905,356	6,904,784
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	10	6,887,875	7,241,163	7,550,481
არამაკონტროლებელი წილი		9,387,818	9,562,767	9,549,740
სულ კაპიტალი		24,378,673	25,328,111	25,839,830
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	506,400	457,900	446,383
სხვა დარიცხული ვალდებულებები	12	361,148	21,762	2,333
მოკლევადიანი სესხები		-	-	100,000
საპროცენტო ვალდებულებები		329	329	16,106
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		867,877	479,991	564,822
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		25,246,551	25,808,101	26,404,652

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



პერიოდის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ.	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები	13	7,144,086	6,272,237
საერთო მოგება		7,144,086	6,272,237
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(7,496,183)	(6,528,982)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები		(132,240)	(128,597)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(484,337)	(385,342)
არასაოპერაციო შემოსავლები		14,083	95,233
არასაოპერაციო ხარჯები		(12,965)	(78)
საპროცენტო ხარჯები		-	(1,344)
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(19,930)	(4,846)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(503,149)	(296,377)
მოგების გადასახადის ხარჯი		(2,109)	(294)
წლიური მოგება/ზარალი		(505,258)	(296,671)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	952
სულ წლის სრული მოგება/ზარალი		(505,258)	(295,719)
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი სრული შემოსავალი		-	571
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი სრული შემოსავალი		-	381
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება/(ზარალი)		(330,309)	(309,318)
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება/(ზარალი)		(174,949)	12,647

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

შპს „კონტროლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ერთეულ ლარში)


პერიოდის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენ.	2022 წელი	2021 წელი
ამონაგები	13	7,144,086	6,272,237
საერთო მოგება		7,144,086	6,272,237
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(7,496,183)	(6,528,982)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები		(132,240)	(128,597)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(484,337)	(385,342)
არასაოპერაციო შემოსავლები		14,083	95,233
არასაოპერაციო ხარჯები		(12,965)	(78)
საპროცენტო ხარჯები		-	(1,344)
მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(19,930)	(4,846)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(503,149)	(296,377)
მოგების გადასახადის ხარჯი		(2,109)	(294)
წლიური მოგება/ზარალი		(505,258)	(296,671)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	952
სულ წლის სრული მოგება/ზარალი		(505,258)	(295,719)
მმობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული სრული შემოსავალი		-	571
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნიებული სრული შემოსავალი		-	381
მმობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მოგება/(ზარალი)		(330,309)	(309,318)
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნიებული მოგება/(ზარალი)		(174,949)	12,647

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება - კონსოლიდირებული

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	გადაფასების რეზერვი	არამაკონტროლებელი წილი	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	1,834,825	7,550,481	11,507,974	4,946,550	25,839,830
ხარვეზის ცვლილებით გამოწვეული კორექტირება (შენ. N4)	-	-	(4,603,190)	4,603,190	-
2021 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	1,834,825	7,550,481	6,904,784	9,549,740	25,839,830
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(216,000)	-	-	-	(216,000)
პერიოდის შედეგი	-	(309,318)	-	12,647	(296,671)
ძირითადი საშუალების გადაფასება	-	-	571	381	952
2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	1,618,825	7,241,163	6,905,356	9,562,767	25,328,111
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(421,200)	-	-	-	(421,200)
პერიოდის შედეგი	-	(330,309)	-	(174,949)	(505,258)
სხვა ცვლილება	-	(22,979)	-	-	(22,979)
2022 წლის 31 დეკემბერი	1,197,625	6,887,875	6,905,356	9,387,818	24,378,674

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2023 წლის 31
ოქტომბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს „კონტროლი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ერთეულ ლარში)


პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება - კონსოლიდირებული

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	გადაფასების რეზერვი	არამაკონტროლებელი წილი	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 31 დეკემბერი	1,834,825	7,550,481	11,507,974	4,946,550	25,839,830
ხარვეზის ცვლილებით გამოწვეული კორექტირება (შენ. N4)	-	-	(4,603,190)	4,603,190	-
2021 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	1,834,825	7,550,481	6,904,784	9,549,740	25,839,830
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(216,000)	-	-	-	(216,000)
პერიოდის შედეგი	-	(309,318)	-	12,647	(296,671)
ძირითადი საშუალების გადაფასება	-	-	571	381	952
2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	1,618,825	7,241,163	6,905,356	9,562,767	25,328,111
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(421,200)	-	-	-	(421,200)
პერიოდის შედეგი	-	(330,309)	-	(174,949)	(505,258)
სხვა ცვლილება	-	(22,979)	-	-	(22,979)
2022 წლის 31 დეკემბერი	1,197,625	6,887,875	6,905,356	9,387,818	24,378,674

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

პერიოდის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2022 წელი	2021 წელი
მოგება დაბეგვრამდე	(503,149)	(294,475)
კორექტირება:		
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯი	845,362	823,664
მოგების გადასახადის ხარჯი	(2,109)	(294)
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	19,930	3,894
საპროცენტო ხარჯი	-	(15,777)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(22,979)	-
	337,055.02	517,012
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(52,787)	5,419
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	27,336	386,305
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდილ ხარჯებში	(387)	(396,262)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	48,500	11,522
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	334,935	13,530
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	694,652	537,526
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(543,010)	(207,598)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	10,355	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4,300)	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(536,955)	(207,598)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების დასაფარად გადახდილი ფული	-	(100,000)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(421,200)	(216,000)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(421,200)	(316,000)
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(19,929)	(3,899)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(283,432)	10,029
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	771,360	761,331
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	487,928	771,360

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი


პერიოდის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2022 წელი	2021 წელი
მოგება დაბეგვრამდე	(503,149)	(294,475)
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	845,362	823,664
მოგების გადასახადის ხარჯი	(2,109)	(294)
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	19,930	3,894
საპროცენტო ხარჯი	-	(15,777)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(22,979)	-
	337,055.02	517,012
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	(52,787)	5,419
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	27,336	386,305
(ზრდა)/შემცირება წინასწარ გადახდილ ხარჯებში	(387)	(396,262)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	48,500	11,522
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	334,935	13,530
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	694,652	537,526
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(543,010)	(207,598)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	10,355	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4,300)	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(536,955)	(207,598)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების დასაფარად გადახდილი ფული	-	(100,000)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(421,200)	(216,000)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(421,200)	(316,000)
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(19,929)	(3,899)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(283,432)	10,029
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	771,360	761,331
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	487,928	771,360

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს

შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

საფირმო სახელწოდება: შპს კონტროლი

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204891322

რეგისტრაციის ნომერი, თარ: 5/4-946; 21/10/1996

მარეგისტრირებული ორგანო: ვაკის რ-ნის სასამართლო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის

რაიონი, მ. კოსტავას ქ., N23

კომპანიის მმართველობის ორგანოებია: პარტნიორთა კრება, დირექტორი.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - 49750648216 აიპან არსლან.

პარტნიორები, მესაკუთრეები და საბოლოო მაკონტროლებელი პირები არიან:

50%-იანი წილის მფლობელი 49750648216, აიპან არსლან;

50%-იანი წილის მფლობელი 01015024655, რესულ დიქმენ.

კომპანია წარმოდგენს დედა საწარმოს და ფლობს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ 60%-იან (მაკონტროლებელ) წილს. წილის დანარჩენი 40%-ის მფლობელია ამხანაგობა შიმშეჭი, ალთაში, აქინი, 637/2004 /გერმანია/.

კომპანია ფლობს უძრავ ქონებას, საკადასტრო კოდით 01.72.14.013/407, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. , სტუდ. ქალაქის მიმდებარედ, რომელიც მიქირავებული აქვს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის“.

სამუშაო ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2,8844 ლარს. (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი და ერთი ევრო 3.5040 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური

და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი შესაბამისობის პრინციპი

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია განხილული.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

სამუშაო ვალუტა

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას („სამუშაო ვალუტა“). ჯგუფის სამუშაო და ფინანსური ანგარიშგების წარსაღვენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის (მშობელი საწარმოს) ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანიის მოკლევადიანი აქტივები აღემატება მის მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე არ არსებობს გარემოებები რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მოთხოვნებს, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის მანძილზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1-ს მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის

დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებითი შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია. ბუღალტრული აღრიცხვა როგორც, სინთეზური, ასევე ანალიზური ანგარიშგებისათვის გამოყენებულია პროგრამა ORIS. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა, ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს, ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომ, შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები, გარდა ჯეპირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება;
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL);
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განსაზღვრულია ორივე კრიტერიუმის საფუძველზე:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში, ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით.

ფინანსური აქტივების შემდგომში შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით მიზნით;

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას

ფინანსური აქტივების შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებისას იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას - „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“ (ECL). ფასს 9 სტანდარტის მოთხოვნების ფარგლებში შემავალი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ანდა რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად, კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს ინფორმაცია მოიცავს წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გაკვლეა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარებულის შემდგომ, ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა 1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2).

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზარალის რეზერვის შეფასებისას. ამ შემთხვევაში ზარალის რეზერვი ყოველთვის შეფასებულია იმ თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. ეს გულისხმობს მოსალოდნელ დეფიციტს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციური ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. რეზერვის გაანგარიშებისას, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას აფასებს კოლექტიურ საფუძველზე, რადგანაც ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მხოლოდ სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატიოგირების მიხედვით წარმოდგენილია ფინანსური რისკების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია აფასებს კონტრაქტი არის თუ არა, ან შეიცავს თუ არა იჯარას კონტრაქტის დასაწყისში. იჯარა გადმოსცემს უფლებას გამოიყენოს და მოიპოვოს იდენტიფიცირებული აქტივის არსებითად ყველა ეკონომიკური სარგებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისათვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია აქტივების გამოყენების უფლებებისთვის იყენებს ცვთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისათვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს არსებული თარიღისათვის გადაუხდელი საიჯარო თანხების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებულს საპროცენტო მაჩვენებლით. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი დადგინდა საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, გრძელვადიან, უზრუნველყოფის გარეშე სესხებზე აღებული იყო საშუალო საპროცენტო განაკვეთები ქართულ ლარში.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდგომ, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულებების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანია, როგორც მეიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურად იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, სხვა შემთხვევაში იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

მარაგები

მარაგები აღირიცხება საწყის ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულება შორის უმცირესით. მარაგების საწყისი ღირებულება აღირიცხება „პირველად შემოსული პირველად გადის“ პრინციპით და მოიცავს მარაგების შეძენა-შექმნა-გადამუშავებასთან დაკავშირებულ და მათ არსებულ მდებარეობა-მდგომარეობაში მიყვანის ხარჯებს.

მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

წმინდა გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობისას მისაღები გასაყიდი ფასი, რომელსაც აკლდება პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებასთან. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

საწყისი აღიარების შემდგომ, გარდა ჯგუფი „მიწისა“, ძირითადი საშუალებები აღირიცხება დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოქვითვით. „მიწა“ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში, მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გაყიდვით, ან მისი გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება იწყება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანისა და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით

უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მიწა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	20
ინვენტარი და აღჭურვილობა	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	10
კეთილმოწყობა	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ ამორტიზდება. ბასს 36 სტანდარტის შესაბამისად, ჯგუფი ამოწმებს მსგავსი ტიპის არამატერიალურ აქტივებს გაუფასურებაზე, მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარების გზით მათ საბალანსო ღირებულებასთან ყოველწლიურად ანდა ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. ისეთი არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვა, რომლებიც არ არის ამორტიზებული, ხდება ყველა პერიოდში, რათა განისაზღვროს კვლავაც ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ არამატერიალურ აქტივს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს. თუკი ასეთი რამ არ დასტურდება, აქტივის განუსაზღვრელი მომსახურების ვადის შეცვლა შეზღუდული (განსაზღვრული) სასარგებლო მომსახურების ვადით აღირიცხება, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში, ბასს 8 სტანდარტის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის კოეფიციენტი შეადგენს 15%-ს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს, ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

ბიოლოგიური აქტივები

ჯგუფი ბიოლოგიურ აქტივს და სოფლის მეურნეობის პროდუქციას აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენის შედეგად, მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ან გასვლა და შესაძლებელია აქტივის სამართლიანი ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ასეთ შემთხვევაში, ამგვარი ბიოლოგიური აქტივი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა. ყველა ხარჯი, რომელიც გაწეულია ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებით (გარდა ბიოლოგიური აქტივის შეძენის ფასისა) ჩართულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციას ჯგუფი აფასებს ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია აღირიცხება ბასს 2 სტანდარტის მიხედვით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების, გარდა მარაგებისა, ნარჩენი საბალანსო ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნის არსებობისას შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ნაღდი ფულის წარმომქმნელი ერთეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება აღემატება აქტივის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები, რომელთა ტესტირება სათითაოდ შეუძლებელია, ჯგუფდება აქტივების ისეთ ყველაზე მცირე ჯგუფში, რომელიც გამოიმუშავებს ნაღდ ფულს ხანგრძლივი გამოყენებისას და რომელიც სხვა აქტივების მიერ გამოიმუშავებული ფულისგან ძირითადად დამოუკიდებელია.

ანაზღაურებადი ღირებულება არის, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის გამოყენების ღირებულება გამოითვლება, მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე კოეფიციენტით რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულების და აქტივის სპეციფიკური რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.

აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი ბასს 19-ის მოთხოვნათა შესაბამისად: „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი, ვინაიდან, განხორციელებული განაცემების მიმართ არცერთი სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში (მაგ. ბასს-2 – „მარაგები“, ან ბასს- 16 – „ძირითადი საშუალებები“).

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

საშემოსავლო გადასახადი

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში

გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით. ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ღივიღენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა.

კომპანია ახორციელებს ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. 2022 წელს კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში (იხილეთ შენიშვნა #17).

დაკავშირებული მხარეები არიან:

პარტნიორები:

50% იანი წილის მესაკუთრე - აიჰან არსლან 49750648216;

50% იანი წილის მესაკუთრე - რესულ დიქმენ 01015024655. დირექტორი - აიჰან არსლან, 49750648216.

დაკავშირებული კომპანია: შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3. ახალი და შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

2022 წელს შემდეგი ახალი შესწორებები და ინტერპრეტაციები ამოქმედდა, მაგრამ ისინი გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ - შესწორებები ფასს 3-ში;
- ძირითადი საშუალებები: „შემოსულობა მიზნობრივ გამოყენებამდე“ - ცვლილებები ბასს 16-ში;
- წამგებიანი ხელშეკრულებები - „ხელშეკრულების შესრულების ხარჯები“ - შესწორებები ბასს 37-ში;
- ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს
- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები
- ბასს 41 „სოფლის მეურნეობა“ - გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებისას.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯერ არ შესრულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრეოდ არ მიუღია. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

- ფასს 17: „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ცვლილებები ბასს 1-ში: „ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება“;
- „სააღრიცხვო შეფასების განმარტება“ - ბასს 8-ის შესწორებები;
- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები - შესწორებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში;
- ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი - ცვლილებები ბასს 12-ში.

კომპანიის შეფასებით ეს ახალი სტანდარტები, არ მოახდენენ არსებით გავლენას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააღრიცხვო შეფასების განმარტება - ბასს 8-ის შესწორებები

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოუშვა ბასს 8-ის შესწორებები, რომლებშიც წარმოადგინა „სააღრიცხვო შეფასებების“ განმარტება. შესწორებები განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს შორის და შეცდომების გასწორებას. გარდა ამისა, იგი ასევე განმარტავს, როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ხერხებს და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად. ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებიც დგება ამ პერიოდის საწყისი თარიღით ან მის შემდგომ. დაშვებულია ვადაზე ადრე გამოყენება, თუ ეს ფაქტი გაცხადდება. ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ექნება ჯგუფზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები - შესწორებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში

2021 წლის თებერვალში ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში „არსებითობის განსაჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებითობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ

როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინი „არსებითის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე.

ცვლილებები ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში;
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას;
- რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და გამოიყენება უკუქცევითი ძალით (რეტროსპექტულად). ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას მიმდინარე პრაქტიკაზე.

4. ადრე გაცხადებული ფინანსური ინფორმაციის რეტროსპექტულად გადაანგარიშება

გამოვლენილი ხარვეზის კორექტირების ეფექტი

ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

აქტივები	შენ.	01-იან-2021	მნიშვნელოვანი ხარვეზის გასწორება	01-იან-2021 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		23,866,657	-	23,866,657
არამატერიალური აქტივები		12,385	-	12,385
ბიოლოგიური აქტივები		3,343	-	3,343
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,882,385		23,882,385
მოკლევადიანი აქტივები				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1,257,981	-	1,257,981
სასაქონლო მატერიალური მარაგები		86,702	-	86,702
წინასწარ გადახდილი ხარჯები		416,253	-	416,253
ფული და ფულის ეკვივალენტები		761,331	-	761,331
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,522,267		2,522,267
მთლიანი აქტივები		26,404,652		26,404,652
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,834,825	-	1,834,825
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	4.1	11,507,974	(4,603,190)	6,904,784
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		7,550,481	-	7,550,481
არამაკონტროლებელი წილი	4.1	4,946,550	4,603,190	9,549,740
სულ კაპიტალი		25,839,830		25,839,830
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		446,383	-	446,383
სხვა დარიცხული ვალდებულებები		2,333	-	2,333
მოკლევადიანი სესხები		100,000	-	100,000
საპროცენტო ვალდებულებები		16,106	-	16,106
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		564,822		564,822
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		26,404,652		26,404,652

	შენ.	31-დეკ-2021	მნიშვნელოვანი ხარვეზის გასწორება	31-დეკ-2021 გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		23,256,865	(952)	23,255,913
არამატერიალური აქტივები		6,111	-	6,111
ბიოლოგიური აქტივები		3,343	-	3,343
სულ გრძელვადიანი აქტივები		23,266,319		23,265,366
მოკლევადიანი აქტივები				
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		871,676	-	871,676
სასაქონლო მატერიალური მარაგები		81,283	-	81,283
წინასწარ გადახდილი ხარჯები		812,515	-	812,515
ფული და ფულის ეკვივალენტები		771,361	-	771,361
სხვა მოთხოვნები		-	5,899	5,899
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,536,836		2,542,734
მთლიანი აქტივები		25,803,155		25,808,101
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		1,618,825	-	1,618,825
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	4.1	11,507,974	(4,602,618)	6,905,356
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		7,239,289	1,874	7,241,163
არამაკონტროლებელი წილი	4.1	4,962,974	4,599,793	9,562,767
სულ კაპიტალი		25,329,062		25,328,111
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		457,900	-	457,900
სხვა დარიცხული ვალდებულებები		15,863	5,899	21,762
საპროცენტო ვალდებულებები		329	-	329
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		474,092		479,991
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		25,803,154		25,808,101

4.1. მნიშვნელოვანი ხარვეზების დეტალური აღწერა

შპს „კონტროლის“ შვილობილი კომპანიის შპს „შავი ზთვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ძირითადი საშუალების (მიწის ნაკვეთის) გადაფასების რეზერვი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, არ იყო გამოყოფილი გადაფასების რეზერვის არამაკონტროლებელი წილზე მისაკუთვნილებელი თანხა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ხარვეზი.

ხარვეზის გამოსასწორებლად გადაფასების რეზერვიდან გამოყვავით არამაკონტროლებელი წილის 40%, რომელიც 2020 წლის მდგომარეობით შეადგენდა 4,603,190 ლარს.

რაც შეეხება 2021 წელს, გადაფასების რეზერვიდან არამაკონტროლებელი წილის გამოყოფის გარდა, რომელსაც 2021 წელს დაემატა 381 ლარი (გადაფასების რეზერვი გაიზარდა 571 ლარით) და რომელიც არ იყო 2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული, ასევე დავაკორექტირეთ არამაკონტროლებელი წილი მიღებული 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალიდან რაც გამოწვეული იყო იმით, რომ 2021 წელს არამაკონტროლებელი წილი შეცდომით 40%-ის ნაცვლად გაანგარიშებული იყო 49%-ი. აღნიშნული ხარვეზების გასასწორებლად 2021 წელს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი შევამცირეთ 4,602,618 ლარით, ხოლო არამაკონტროლებელი წილი გავზარდეთ 4,599,793 ლარით.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ინვენტარი და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	12,314,498	10,688,760	1,289,738	3,210,841	86,954	259,550	27,850,341
მეძენა	-	-	-	176,483	-	31,115	207,598
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,314,498	10,688,760	1,289,738	3,387,324	86,954	290,665	28,057,939
მეძენა	-	-	-	340,070	-	202,940	543,010
გასვლა	-	-	-	(10,355)	-	-	(10,355)
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,314,498	10,688,760	1,289,738	3,717,039	86,954	493,605	28,590,594
აკუმულირებული ცვეთა 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	(1,161,833)	-	(2,582,563)	(68,718)	(170,570)	(3,983,684)
წლის ცვეთა	-	(462,375)	-	(304,313)	(2,550)	(49,103)	(818,341)
გასვლის შედეგად ცვეთის კორექტირება	-	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1,624,208)	-	(2,886,876)	(71,268)	(219,673)	(4,802,026)
წლის ცვეთა	-	(460,067)	-	(345,059)	(2,550)	(40,148)	(847,824)
გასვლის შედეგად ცვეთის კორექტირება	-	-	-	4,007	-	-	4,007
აკუმულირებული ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,084,275)	-	(3,227,929)	(73,818)	(259,821)	(5,645,843)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	12,314,498	9,526,927	1,289,738	628,278	18,236	88,980	23,866,657
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,314,498	9,064,552	1,289,738	500,448	15,686	70,992	23,255,913
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,314,498	8,604,485	1,289,738	489,110	13,136	233,784	22,944,751

კომპანია 2020 წლის 31 დეკემბრიდან გადავიდა ძირითადი საშუალებების „მიწის“ კლასის შემდგომი შეფასების გადაფასების მოდელზე. გამომდინარე იქედან, რომ კომპანიის მიერ მოხდა აქტივების გადაფასების პოლიტიკის თავდაპირველი გამოყენება, ბასს 8 სტანდარტის მე-17 და მე-18 მუხლების მიხედვით კომპანიამ პოლიტიკის ცვლილება აღრიცხა პერსპექტიულად.

ზემოხსენებული აქტივების შეფასება მოხდა დამოუკიდებელი ლიცენზირებული შემფასებლის მიერ. ძირითადი საშუალებების აღნიშნული კლასი რომ დარჩენილიყო თვითღირებულების პოლიტიკით აღრიცხული, მისი წმინდა საბალანსო ღირებულება 2022-2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 2,067,718.

კომპანიას მიმდინარე და შესადარის საანგარიშგებო პერიოდში არ შეუფასებია ხელახლა ჯგუფის სამართლიანი ღირებულება, რამდენადაც თვლის, რომ გადაფასებული აქტივ(ებ)ის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან. მიწის ჯგუფის გადაფასების შედეგად მიღებული ნამეტის თანხა 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 10,246,780 ლარს.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ-2022	01-იან-2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,267,488	1,316,070
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(734,134)	(734,134)
გადახდილი ავანსები	282,787	261,990
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	27,519	27,071
მისაღები პროცენტები	681	681
ჯამი	844,341	871,676

მოთხოვნების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მოთხოვნები სტუდენტების სწავლის საფასურზე. ეს მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავენ ხანდაზმულ ნაწილს.

ზარალის რეზერვის ცვლილებებისა და აღნიშნული ცვლილებების მიზეზების ასახსნელად, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მიხედვით ცხრილში უნდა წარმოადგინოს ზარალის რეზერვის საწყისი ნაშთის შეჯერება საბოლოო ნაშთთან, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, ფასს 7 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. რამდენადაც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ ზარალის რეზერვთან მიმართებით არ ყოფილა არანაირი ცვლილება, დამატებით არ არის წარმოდგენილი საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილების ცხრილი.

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-2022	01-იან-2022
წიგნები და ჟურნალები	50,011	33,056
რეკლამისთვის განკუთვნილი საქონელი	42,016	9,982
სამშენებლო მასალები	30,298	30,298
სასაჩუქრე საქონელი	10,293	6,326
წამლები და სამედიცინო ინსტრუმენტები	1,305	633
საწვავი	149	988
ჯამი	134,070	81,283

8. წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები	31-დეკ-2022	01-იან-2022
ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები	807,051	807,051
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	5,650	5,413
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	200	50
ჯამი	812,901	812,515

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2022	01-იან-2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	409,191	677,547
აშშ დოლარი რეზიდენტ ბანკში	77,567	93,464
ევრო რეზიდენტ ბანკში	1,171	105
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	245
ჯამი	487,929	771,361

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და

საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულება რომე Fitchrating.com ზე შეფასებულია BB რეიტინგით.

10. კაპიტალი

დედა და შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალები განსაზღვრულია კომპანიების დამფუძნებლების მიერ. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლების მიერ და ფორმირებულია ფულადი და ქონებრივი შენატანებით.

2022 წლის განმავლობაში ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 421,200 ლარით. ამავდროულად ჯგუფმა მიიღო 505,258 ლარის ოდენობის ზარალი. საანგარიშგებ პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა ასევე მიიღო 22,979 ლარის ზარალი, რაც გამოწვეულია ფასს 16 სტანდარტის გავლენით. საბოლოოდ ჯგუფის კაპიტალმა 2022 წლის 31 დეკემბერს 24,378,673 ლარი შეადგინა (2021 წელს - 25,328,110 ლარი).

გადაფასების რეზერვთან დაკავშირებით გთხოვთ იხილოთ მე-4 შენიშვნა.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2022	01-იან-2022
მიღებული ავანსები	444,548	403,426
გადასახდელი ხელფასები	1,500	1,500
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	53,594	46,201
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	6,758	6,758
ვალდებულებები საპენსიო სააგენტოს წინაშე	-	15
ჯამი	506,400	457,900

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ავანსები, რომლებიც ძირითადად სტუდენტების მიერ წინასწარ გადახდილ სწავლის საფასურს წარმოადგენს.

12. სხვა დარიცხული ვალდებულებები

სხვა დარიცხული ვალდებულებები	31-დეკ-2022	01-იან-2022
სხვა დარიცხული ვალდებულებები	361,148	21,762

კომპანიის სხვა დარიცხული ვალდებულებების უდიდესი ნაწილი შედგება საგადასახადო ვალდებულებებისგან.

13. ამონაგები

ამონაგები	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზიციიდან	6,724,856	5,886,871
სახელმწიფო სასწავლო გრანტი	254,981	266,283
შემოსავალი რეალიზიციიდან (დღგ-თი დასაბეგრი)	116,282	65,038
ERASMUS+ პროგრამის შემოსავლები	36,927	4,453
ტრენინგის კურსების შემოსავლები	5,490	16,626
TOEFL შემოსავლები	3,345	2,746
კონფერენციის საფასური	1,856	1,158
სხვადასხვა საოპერაციო შემოსავლები	350	-
სასწავლო კურსების (უცხო ენების) შემოსავლები	-	122
YS-19-1633 გრანტი, შ.რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	-	20,250
ცვიკაუს უნივერსიტეტის პროექტი (ZWI CKAU FH DEZ. HAUSHALT U. FINANZEN)	-	8,691
ჯამი	7,144,086	6,272,237

ვინაიდან შპს კონტროლის ინდივიდუალური საოპერაციო შემოსავლები სრულად შედგება შვილობილ კომპანიაზე უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლებიდან, ამ თანხას კონსოლიდაციის დროს გათვალისწინებული არ იქნა.

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება	5,159,850	4,054,790
ცვტა და ამორტიზაცია	846,070	823,664
ფიზიკური პირის მომსახურების ანაზღაურება	435,814	336,808
სხვა საგადასახადო ხარჯი	133,410	137,685
მომსახურების ხარჯები	107,433	125,578
დაცვის მომსახურების ხარჯი	97,935	85,200
ბუნებრივი გაზის ხარჯი	74,316	46,368
ელექტრო ენერგიის ხარჯი	68,500	55,547
ჩაუთვლელი დღგ-ს ხარჯი	60,352	29,954
კომუნიკაციის ხარჯები	54,299	38,310
წარმომადგენლობითი ხარჯი	50,420	14,428
საკონსულტაციო ხარჯები	51,138	40,112
დასუფთავების ხარჯი	34,175	11,266
კომპიუტერის ხარჯები	22,557	-
მივლინების ხარჯი	16,428	560
წყლის ხარჯი	12,118	16,050
ბანკის მომსახურების საკომისიო	4,266	5,314
სპორტ კლუბის ხარჯები	4,139	-
სამეურნეო ხარჯი	79	-
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურება	-	270,691
საიჯარო ქირა	-	7,180
მოგებით დასაბეგრი ხარჯი	-	2,390
უიმედო ვალის ჩამოწერა	-	176,764
სხვა საერთო ხარჯი	262,884	250,323
ჯამი	7,496,183	6,528,982

15. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფში შემავალი კომპანიების გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

16. ფინანსური რისკების მართვა**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისაგან.

ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები. შესაბამისად, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ჯგუფისთვის. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების კომპანიების ღონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში):

31.12.2022

აქტივები	ევრო	დოლარი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,171	77,567	78,738
სულ აქტივები	1,171	77,567	78,738
წმინდა საბალანსო პოზიცია	1,171	77,567	78,738

31.12.2021

აქტივები	ევრო	დოლარი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	105	93,464	93,569
სულ აქტივები	105	93,464	93,569
წმინდა საბალანსო პოზიცია	105	93,464	93,569

ჯგუფს, როგორც მიმდინარე, ასევე შესაძარის საანგარიშგებო პერიოდისთვის არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები.

მგრძნობელობის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ცხრილი გვიჩვენებს გავლენას წმინდა მოგებაზე.

2022 წელი	ნაშთი წლის ბოლოს	+/-20%	ნაშთი მატების შემთხვევაში	ნაშთი კლების შემთხვევაში
აშშ დოლარი	77,567	15,514	93,081	62,054
ევრო	1,171	234.21	1,405	937

2021 წელი	ნაშთი წლის ბოლოს	+/-20%	ნაშთი მატების შემთხვევაში	ნაშთი კლების შემთხვევაში
აშშ დოლარი	93,464	18,693	112,157	74,771
ევრო	105	21	126	84

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდებისათვის. იმისთვის, რომ ლიკვიდურობის რისკი მართვადი იყოს, ჯგუფი ახდენს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით:

31.12.2022

ფინანსური აქტივები	1 თვემდე	1 - 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტი	487,929	-	-	-	487,929
დებიტორული დავალიანება	-	-	533,353	-	533,353
სხვა მოთხოვნები	-	-	28,179	-	28,179
სულ ფინანსური აქტივები	487,929	-	561,532	-	1,049,461
კრედიტორული დავალიანება	-	-	61,852	-	61,852
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	61,852	-	61,852
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	487,929	-	499,681	-	987,609

31.12.2021

ფინანსური აქტივები	1 თვემდე	1 - 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტი	771,361	-	-	-	771,361
დებიტორული დავალიანება	-	-	581,935	-	581,935
სხვა მოთხოვნები	-	-	27,731	-	27,731
სულ ფინანსური აქტივები	771,361	-	609,666	-	1,381,027
კრედიტორული დავალიანება	-	-	54,459	-	54,459
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	54,459	-	54,459
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	771,361	-	555,207	-	1,326,568

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და მისაღები დებიტორული დავალიანებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჯგუფისთვის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო:

საკრედიტო რისკი	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	487,929	771,117
დებიტორული დავალიანება	561,532	609,666
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	1,049,461	1,380,783

კომპანიის ფული განთავსებულია მაღალი სანდოობის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში, რაც მენეჯმენტს აძლევს გარანტიას, რომ არ არსებობს საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულსა და ფულის ეკვივალენტების ნაშთებთან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან გამოწვეულ საკრედიტო რისკს მენეჯმენტი მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით და ქმნის შესაბამის ანარიცხს.

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტის 33.2-33.4 პარაგრაფებით, „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- A. მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც

აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- B. პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- C. ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- D. კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- E. ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- F. მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- G. დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

	2022 წელი	2021 წელი
მენეჯმენტის ხელფასი	201,438	143,862

ინფორმაცია საიჯარო ვალდებულებების შესახებ დაკავშირებულ მხარეებთან გამჟღავნებულია მე-12 შენიშვნაში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2023 წლის 2 ოქტომბერს გაიყიდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 100 %-იანი წილი. ახალი პარტნიორები გახდნენ კახა შენგელია (პ/ნ: 01001000202), რომელმაც შეიძინა წილის 49 პროცენტი და გია კავთელიშვილი (პ/ნ: 01012000597) წილის 51 პროცენტი. მართვაზე პასუხისმგებელი პირი გახდა დირექტორი კახა შენგელია ერთპიროვნულად. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ, როგორც მშობელმა, კონტროლი დაკარგა საკუთარ შვილობილზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 31 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„კონტროლი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2022 წ.

(საქმიანობის მიმოხილვა)

წინამდებარე კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ძირითადად მომზადებულია შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მონაცემებზე დაყრდნობით, ვინაიდან კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, (მათ შორის ართველობის ანგარიშგებაში) გადამწყვეტი და არსებითია შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მონაცემები.

1. საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

1.1 ჯგუფის განვითარების გეგმა

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

შპს „კონტროლის“ წილობრივი მონაწილეობით 1995 წელს დაარსდა კერძო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „შსსუ“) რომელმაც დაარსებისთანავე მოიპოვა ავტორიტეტი და დღეისათვის წარმოადგენს ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტს საქართველოში. შსსუ წარმოადგენს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის ცენტრს, რომლებსაც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს ინგლისურ და ქართულ ენებზე. საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებულია სწავლების უახლესი მეთოდოლოგია.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია ადამიანური და მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება - განვითარება.

შსსუ არის ავტორიზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. სეგმენტი ამ სფეროში შეადგენს 2-5%. იგი ახორციელებს 39 აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამას სწავლების სამივე საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო), ასევე მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამასა და სასერთიფიკატო კურსებს სიცოცხლის მანძილზე სწავლების ფორმატის ფარგლებში.

საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებები და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებები.

1.2 ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

შსსუ მიმდინარე პერიოდში საქმიანობას ეწევა მხოლოდ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრზე #2, იჯარით აღებულ ფართში, რომელიც შპს „კონტროლის“ საკუთრებაა.

1.3 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქართველოში კვლევას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. შსსუ ყურადღებით არჩევს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს, აფასებს ენობრივ კომპეტენციას კვლევის თემატიკასა და სფეროსადმი შესაბამისობას. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წახალისებას (სტატიები, კონფერენციებში მონაწილეობა, რედაქტირება, წიგნის ავტორობა, პროექტების/გრანტების მოზიდვა და სხვ.) უნივერსიტეტი მოუწოდებს აკადემიურ პერსონალს კვლევები განახორციელონ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან ერთად.

1.4 საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1.4.1 ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

2022 წელი	31-დეკ-2022	31-დეკ-2021	სხვაობა (თანხობრივად)	სხვაობა (პროცენტულად)
მიმდინარე აქტივები	2,289,591	2,542,734	(253,143)	-11.06%
გრძელვადიანი აქტივები	22,956,959	23,265,366	(308,408)	-1.34%
სულ აქტივები	25,246,550	25,808,101	(561,551)	-2.22%
მიმდინარე ვალდებულებები	867,877	479,991	387,886	44.69%
საკუთარი კაპიტალი	24,378,673	25,328,110	(949,437)	-3.89%
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	25,246,551	25,808,101	(561,550)	-2.22%
შემსავალი რეალიზაციიდან	7,144,086	6,272,237	871,849	12.20%

2021 წელი	31-დეკ-2021	31-დეკ-2020	სხვაობა (თანხობრივად)	სხვაობა (პროცენტულად)
მიმდინარე აქტივები	2,542,734	2,522,267	20,467	0.80%
გრძელვადიანი აქტივები	23,265,366	23,882,385	(617,019)	-2.65%
სულ აქტივები	25,808,101	26,404,652	(596,551)	-2.31%
მიმდინარე ვალდებულებები	479,991	564,822	(84,831)	-17.67%
საკუთარი კაპიტალი	25,328,110	25,839,830	(511,720)	-2.02%
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	25,808,101	26,404,652	(596,551)	-2.31%
შემსავალი რეალიზაციიდან	6,272,237	5,680,131	592,106	9.44%

1.4.2 არაფინანსური მაჩვენებლები

მზსუ-ს ძირითადი ძლიერი მხარეები

კატეგორია	პუნქტი
კურსდამთავრებული	ცნობადი კურსდამთავრებულები კურსდამთავრებულები მსოფლიო მასშტაბით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი ხარისხი
კარიერის დაგეგმვა	სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით კარიერის დაგეგმვის სამსახურის არსებობა
განათლება	საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში ყველა პროგრამას გავლილი აქვს აკრედიტაცია ინგლისურენოვანი პროგრამების ფართო არჩევანი ოპტიმალური ზომის აუდიტორიები დისციპლინის მაღალი დონე სტუდენტთა შეფასების ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა

სტუდენტებზე ორიენტირებული / მეგობრული სასწავლო გარემო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ჩარიცხულ სტუდენტთა მაჩვენებელი უცხოელი მოწვეული პერსონალი სტუდენტთა მრჩეველები სტუდენტების ინდივიდუალად აღიარება	
სტუდენტებისთვის ხელშემწყობი სერვისების ხელმისაწვდომობა ელექტრონული მონაცემთა ბაზები (SIS და SMART სისტემები) საგამოცდო ცენტრი	
დამსაქმებლები	მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებლებთან პოტენციურ დამსაქმებელთან მარტივი წვდომის შესაძლებლობა (დედაქალაქში მდებარეობა)
ადამიანური რესურსების მართვა	ლოიალური პერსონალი პერსონალის დაწინაურების შესაძლებლობები ცვლილებებისადმი სწრაფად რეაგირების უნარი გუნდური სულისკვეთება და სოლიდარობის გრძნობა
ინტერნაციონალიზაცია	საერთაშორისო გარემო (სტუდენტებისა და პერსონალის მულტიკულტურული საზოგადოება) აქტიური ურთიერთობა სხვა უნივერსიტეტებთან, სააგენტოებსა და ორგანიზაციებთან, საერთაშორისო სტუდენტთა მრავალფეროვნულობა უსაფრთხო, მშშ ადაპტირებული და ჯანსაღი გარემო
კამპუსი ენა	სხვადასხვა უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობა
ბიბლიოთეკა	შესაბამისი რესურსები და მყუდრო გარემო
ურთიერთობა საზოგადოებასთან	მჭიდრო კავშირები კერძო და საჯარო დაწესებულებებთან
ურთიერთობა	კარგი რეპუტაცია (საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობა (რეგულაციები, ინსტრუქციები)
მენეჯმენტი	მენეჯმენტის ზედა და საშუალო რგოლებთან ადვილი წვდომა
კვლევა	წახალისების სისტემა აკადემიური/აფილირებული პერსონალისათვის აკადემიური ჟურნალი თითოეულ ფაკულტეტზე
სოციალური აქტივობა	აქტიური სოციალური ცხოვრება, მრავალფეროვანი სტუდენტური კლუბები
გადასახადი	გრანტებისა და ფასდაკლებების შესაძლებლობები ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის შესაძლებლობა

მზსუ-ს სუსტი მხარეები

კატეგორია	პუნქტი
განათლება	მაღალი და მაღალი აკადემიური მოსწრების, აგრეთვე მეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის განკუთვნილი ინსტიტუციონალური ზომების ნაკლებობა.
მენეჯმენტი	მონაცემების ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემატიზაციის ნაკლებობა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშემწყობისათვის.
სტუდენტთა მიღება	სუსტი მარკეტინგული სტრატეგია სხვა ქალაქებიდან/რეგიონებიდან სტუდენტთა არასაკმარისი ჩართულობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა	დოკუმენტების ბეჭდურ ვერსიებთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ბარიერები.
კვლევა	მონაცემთა შეგროვების ელექტრონული პლატფორმა არ არის მომხმარებლისთვის მოსახერხებელი
ფინანსები საერთაშორისო ინფრასტრუქტურა	კვლევაზე ორიენტირებული სწავლების უკმარისობა კვლევის კუთხით აკადემიური პერსონალის არასაკმარისი ხელშეწყობა შემოსავლის წყაროების კატეგორიებს შორის არათანაბარი გადანაწილება რიგ პროგრამებში არასაკმარისი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები მოძველებული მატერიალური რესურსები არასაკმარისი ავტო-სადგომის სივრცე
ელექტრონული საინფორმაციო სისტემა	არასრულყოფილი ელექტრონული მართვის სისტემა
<u>მთავარი შესაძლებლობები</u>	
მენეჯმენტი კვლევა	მენეჯმენტის გაუმჯობესება კვლევის ხარისხის ამაღლება
საზოგადოება	პრაქტიკის ქსელის გაფართოება ბიზნესთან და საზოგადოებასთან მუშაობის ეფექტურობის გაზრდა
განათლება	განათლების ხარისხის ამაღლება
საუნივერსიტეტო ცხოვრება კურსდამთავრებული ინტერნაციონალიზაცია	სტუდენტებისა და პერსონალის სოციალური აქტივობების გაუმჯობესება კურსდამთავრებულებისგან მზარდი მხარდაჭერის მოპოვება ინტერნაციონალიზაციის ხვედრითი წონის გაზრდა უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა
ინფრასტრუქტურა	კამპუსის განვითარება
<u>ძირითადი/პოტენციური საფრთხეები</u>	
კურსდამთავრებულები ინტერნაციონალიზაცია ფინანსები ადამიანური რესურსები	ცვლადი დასაქმების ბაზარი ცვლადი სავიზო მოთხოვნები სიდრმისეული ეკონომიკური ცვლილებები ქვეყანაში მზარდი კონკურენციიდან გამომდინარე, კვალიფიციური კადრების გადინების რისკი

2 ძირითადი რისკები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია მნიშვნელოვანი მიზეზები და ფაქტორები. მათ შორის:

1. პოლიტიკური შეხედულებებისა და მესამე პირების უკანონო ზეწოლის შედეგად საქმიანობის შეფერხების მცდელობა.

2. საკანონმდებლო ცვლილებები, რომელსაც შესაძლოა მოახდინოს კომპანიის საქმიანობის შეფერხება.

3. მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან საქმიანობის შეფერხების მცდელობა:

ა) 2018 წლის 20 აგვისტოს უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ შეეზღუდა სტუდენტთა მიღება 1 წლის ვადით, რომელიც გაუქმებული იქნა იმავე საბჭოს მიერ, სააპელაციო საბჭოს ჩართულობით.

ბ) შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად, უნივერსიტეტს დაუსაბუთებლად დაეკისრა საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული დავალიანება სასამართლოს მიერ საგრძნობლად შემცირებული იქნა. სასამართლო დავა ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

გ) მაკონტროლებელი ორგანოს მიერ უნივერსიტეტის მთლიან ქონებას დაედო ყადაღა, რომელიც გაუქმებული იქნა ხანგრძლივი სამართლებრივი ბრძოლის შედეგად.

შპს „კონტროლი“ როგორც მშობელი საწარმო და 60% წილის მფლობელი სრულად იყო ჩართული ამ პროცესებში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის 02 ოქტომბერს შპს „კონტროლმა“ თავისი კუთვნილი 60%-იანი წილი შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ სრულად გაასხვისა და ამ თარიღიდან იგი აღარ ითვლება დედა საწარმოდ.

ხელმოწერი პირი:

დირექტორი: **აიპან არსლანი**

31 ოქტომბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო

2. საკანონმდებლო ცვლილებები, რომელსაც შესაძლოა მოახდინოს კომპანიის საქმიანობის შეფერხება.

3. მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან საქმიანობის შეფერხების მცდელობა:

ა) 2018 წლის 20 აგვისტოს უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უსაფუძვლოდ შეუზღუდა სტუდენტთა მიღება 1 წლის ვადით, რომელიც გაუქმებული იქნა იმავე საბჭოს მიერ, სააპელაციო საბჭოს ჩართულობით.

ბ) შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად, უნივერსიტეტს დაუსაბუთებლად დაეკისრა საგადასახადო დავალიანების გადახდის ვალდებულება ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული დავალიანება სასამართლოს მიერ საგრძნობლად შემცირებული იქნა. სასამართლო დავა ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ დასრულებულა.


გ) მაკონტროლებელი ორგანოს მიერ უნივერსიტეტის მთლიან ქონებას დაედო ყადაღა, რომელიც გაუქმებული იქნა ხანგრძლივი სამართლებრივი ბრძოლის შედეგად.

შპს „კონტროლი“ როგორც მშობელი საწარმო და 60% წილის მფლობელი სრულად იყო ჩართული ამ პროცესებში.

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის 02 ოქტომბერს შპს „კონტროლმა“ თავისი კუთვნილი 60%-იანი წილი შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ სრულად გაასხვისა და ამ თარიღიდან იგი აღარ ითვლება დედა საწარმოდ.

ხელმოწერი პირი:

დირექტორი: აიკან არსლანი



31 ოქტომბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო